# ხელშეკრულება №31 - 18

ქ.ზუგდიდი 26 ივლისი 2012 წ.

შ.პ.ს. „ენგურ-აუდიტი“ მისი დირექტორის ზურაბ ბერულავას სახით შემდგომში „შემსრულებელი“ ერთის მხრივ და მეორეს მხრივ; სსიპ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლის დირექტორი ია გარდავას სახით მოხსენიებული როგორც „დამკვეთი“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი და შესრულების ვადები.

1.1 "დამკვეთი" ავალებს ,ხოლო შემსრულებელი კისრულობს ჩაატაროს შემდეგი სახის აუდიტორული მომსახურება: სკოლის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების ჩამოწერის შედეგად მიღებული მასალების და პიანინოს ღირებულების დადგენა

1.2 მომსახურების გაწევის ვადაა 2012 წლის 26 ივლისიდან 2012 წლის 15 აგვისტომდე

## 2. მხარეთა მოვალეობები და უფლებები

2.1 მხარეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონით „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ აუდიტორის ეთიკის“ კოდექსის მიხედვით.

2.2 პასუხისმგებლობა აუდუიტორისათვის წარდგენილი მასალების სისწორეზე ეკისრება „დამკვეთს“, საზოგადოების ადმინისტრაციას.

2.3 „შემსრულებელს“ უფლება აქვს ჩააბაროს დასრულებული სამუშაო, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე.

2.4 „შემსრულებელი“ ვალდებულია ტექნიკური დოკუმენტაცია მოოამზადოს ორ ეგზემპლარად და მომსახურების ვადის ბოლოს, ერთი ეგზემპლარი ჩააბაროს „დამკვეთს“.

## 3 მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

3.1 მომსახურების ღირებულება განისაზღვრევბა 100(ასი)ლარით.

3.2 „დამკვეთი“ ავანსის სახით გადაუხდის „შემსრულებელს“ მომსახურების ღირებულების --------- %-ს ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ___________ დღის ვადაში.

3.3 მომსახურების ღირებულების დაფარვა „დამკვეთმა“ უნდა მოახდინოს „შემსრულებელი“-ს მიერ სამუშაოს შესრულებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

## 4 მხარეთა პასსუხისმგებლობა.

4.1 ნებისმიერ მხარეს შეუძლია წინასწარ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტს.

4.2 „დამკვეთის“ მიერ ხელშეკრულების შეჩერების შემთხვევაშიიგი იგი ვალდებულია „შემსრულებელს“ აუნაზღაუროს სახელშეკრულებო თანხა შესრულებული სამუშაოს მიხედვით და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

4.3 „დამკვეთის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის იგი „შემსრულებელს“ პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ვადაზეგადაუხდელი თანხის --------- %-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

4.4 „შემსრულებლის“ მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში „შემსრულებელს“ ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და „დამკვეთთან“ დადებული ხელშეკრულების ფარგლებში.

4.5 „შემსრულებლის“ ქონებრივი პასუხისმგებლობა არ შეიძლება აღემატებოდეს „დამკვეთისათვის“ ფაქტობრივად მიყენებული ზარალის ოდენობას, რაც გათვალსლისწინებულია საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ 24-ე მუხლით.

## 5 ფორს-მაჟორული გარემოებები.

5.1 შეუსრულებლობის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზრაურებისაგან, მხარეები თავისუფლდებიან თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით. კერძოდ: ომით, ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრით ან სხვა სტიქიური უბედურებებით და თუ ამ გარემოებებმა უშუალოდ გავლენა მოახდინა ხელშეკრულების შესრულებაზე.

ასეთ შემთხვევაში მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადატანა ფორს – მაჟორული გარემოების შეწყვეტამდე. გარემოების ზემოქმედების შესახებ მხარეებმა ერთმანეთს უნდა აცნობონ მათი დადგომიდან 10 დღის განმავლობაში.

## 6 დავის გადაწყვეტა.

6.1 მხარეებს შორის სადავო საკითხი წყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

## 7 დამატებითი პირობები.

7.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
7.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

**„შემსრულებელი“**

შ.პ.ს. „ენგურ-აუდიტი“
ქ. ზუგდიდი, რუსათაველის ქ. №93
საიდენტიფიკაციო №220005562

„ლიბერთი ბანკის“- ს ზუგდიდის ფილიალი.

ბანკის კოდი: LBRTGE22

ა/ა № 36080379

დირექტორი:

-------------------

ზ.ბერულავა

**„დამკვეთი“**

სსიპ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლა

ქ.ზუგდიდი პუშკინის ქ №157

ს/კ №219986629

დირექტორი

-------------------

ი.გარდავა